


# 1 რეგისტრაცია

სსიპ საქართველოს ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა რეგისტრაცია უნდა გაიაროს ინტერნეტ გვერდზე - [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) -ზე

რეგისტრაციისას აუცილებელია ელექტრონული აუქციონის პირობებისა და წესების გაცნობა და დათანხმება.



# 2 საგარანტიო თანხის გადახდა

ელექტრონულად რეგისტრაციის გავლის შემდეგ დაინტერესებული პირი იხდის საგარანტიო „ბე“-ს თანხას შემდეგი გზით:

- ნაღდი ანგარიშსწორებისას - სს „ლიბერთი ბანკში“;
- ვებ-გვერდიდან პლასტიკური ბარათით;
- ელექტრონული საბანკო გარანტიის აქტივაციით;

საგარანტიო თანხის გადახდის შემდეგ, დაინტერესებულ პირს შეუძლია გააკეთოს ფასის შეთავაზება ბიჯის დამატებით. აუქციონში გამარჯვებული მონაწილე იხდის უძრავი ქონების ღირებულებას საგარანტიო „ბე“-ს გამოკლებით.


ელექტრონულ აუქციონში დამარცხებულს „ბე“ ან და საბანკო გარანტია დაუბრუნდება აუქციონის დასრულების დღიდან არა უგვიანეს 7 საბანკო დღის ვადაში, იმ ანგარიშზე, საიდანაც განხორციელდა გადახდა.



საწყისი ფასი:	3000 GEL
ვაჭრობის ბიჯი:	100 GEL
საგარანტიო თანხა:	300 GEL

# 3 ვაჭრობა აუქციონზე

ელექტრონული აუქციონის მონაწილე ონლაინ რეჟიმში ამატებს ფასს (ბიჯი); გამარჯვებულად ჩაითვლება ელექტრონული აუქციონის ის მონაწილე, რომელსაც ელექტრონული აუქციონის დასრულების მომენტისთვის ექნება შეთავაზებული ყველაზე მაღალი ფასი.



# 4 ხელშეკრულების დადება

**პირობიანი აუქციონი:** პირობიანი აუქციონი ითვალისწინებს ელექტრონულ აუქციონზე გატანილი ქონების თანხის გარდა სხვა საპრივატიზებო პირობის შესრულებას.

**პირობიანი აუქციონის დასრულების შემდეგ:** გამარჯვებული მონაწილე იხდის უძრავი ქონების ღირებულებას საგარანტიო „ბე“-ს გამოკლებით;

აფორმებს ხელშეკრულებას სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში; არეგისტრირებს უძრავ ქონებას სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში;

ელექტრონულ აუქციონში დამარცხებულს „ბე“ ან და საბანკო გარანტია დაუბრუნდება აუქციონის დასრულების დღიდან არა უგვიანეს 7 საბანკო დღის ვადაში, იმ ანგარიშზე, საიდანაც განხორციელდა გადახდა.

**უპირობო აუქციონი:** უპირობო აუქციონი არ ითვალისწინებს გასაყიდი უძრავი ქონების თანხის გარდა რაიმე სხვა დამატებით პირობას.

**უპირობო აუქციონის დასრულების შემდეგ:** გამარჯვებული მონაწილე იხდის უძრავი ქონების ღირებულებას საგარანტიო „ბე“-ს გამოკლებით;

აფორმებს ხელშეკრულებას სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში; არეგისტრირებს უძრავ ქონებას სსიპ იუსტიციის სახლის ფილიალებში;

ელექტრონულ აუქციონში დამარცხებულს „ბე“ ან და საბანკო გარანტია დაუბრუნდება აუქციონის დასრულების დღიდან არა უგვიანეს 7 საბანკო დღის ვადაში, იმ ანგარიშზე, საიდანაც განხორციელდა გადახდა.



სახელმწიფო ქონების  
ეროვნული სააგენტო

როგორ შევიძინო  
სახელმწიფო ქონება

# აუქციონში მონაწილეობის ინსტრუქცია

## აუქციონში მონაწილეობის ინსტრუქცია

აუქციონზე ქონების განკარგვა წარმოადგენს ქონების გასხვისების ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმას, რომლის მიზანია საკუთრების უფლება მიანიჭოს აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც ვაჭრობის პროცესში სახელმწიფო ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით განკარგვა ხორციელდება ელექტრონული ან/და საჯარო აუქციონის მეშვეობით, რის შესახებაც ინფორმაცია განთავსდება ვებ-გვერდზე: [www.eauction.ge](http://www.eauction.ge)

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

თბილისი, ჭავჭავაძის ქ. 12  
(+995 32) 2 98 11 11  
[info@nasp.gov.ge](mailto:info@nasp.gov.ge)

[www.nasp.gov.ge](http://www.nasp.gov.ge)



სახელმწიფო ქონების  
ეროვნული სააგენტო